28.04.2016

სასოფლო-სამეურნეო აღწერა 2014

საქართველოს 2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერა საქსტატმა ჩაატარა გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მიერ რეკომენდებული 2006-2015 წლების მსოფლიო სასოფლო-სამეურნეო აღწერის პროგრამის შესაბამისად. აღწერა დაეფუძნა FAO-ს მეთოდოლოგიას. აღწერის ყველა ეტაპზე აქტიურად იყვნენ ჩართულები FAO-სა და აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის (USDA) სტატისტიკის ექსპერტები. პირველ ეტაპზე, 2014 წლის ნოემბერში, ჩატარდა შინამეურნეობების სასოფლო-სამეურნეო აღწერა მოსახლეობის აღწერასთან ერთად. 2015 წლის გაზაფხულზე დამატებით ჩატარდა იურიდიული პირების სასოფლო-სამეურნეო აღწერა. საბოლოოდ აღწერას დაექვემდებარა ქვეყანაში არსებული (საქართველოს მთავრობის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე) მეურნეობები - ყველა ის შინამეურნეობა და იურიდიული პირი, რომელსაც 2014 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, საკუთრებაში ან დროებით სარგებლობაში ჰქონდა სასოფლო-სამეურნეო მიწა, ჰყავდა პირუტყვი, ფრინველი, ფუტკრის ოჯახი ან ჰქონდა მრავალწლოვანი ნარგავი (სასოფლო-სამეურნეო), მიუხედავად იმისა, საანგარიშო წელს აწარმოა თუ არა რაიმე სახის სასოფლო–სამეურნეო პროდუქცია. აღწერის შედეგად მიღებულ იქნა მრავალფეროვანი ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის შესახებ, მათ შორის მეურნეობების სარგებლობაში არსებული მიწის სტრუქტურისა და გამოყენების, პირუტყვისა და ფრინველის სულადობისა და ფუტკრის ოჯახების რაოდენობის შესახებ.

ძირითადი შედეგები

მეურნეობების რაოდენობა

აღწერის შედეგად, 2014 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, ქვეყანაში დაფიქსირდა 642.2 ათასი მეურნეობა, მათ შორის 640.0 ათასი - შინამეურნეობა და 2.2 ათასი - იურიდიული პირი. მეურნეების 30.9%-ს ქალი მეურნეები შეადგენენ. რეგიონების მიხედვით, მეურნეობების ყველაზე მეტი რაოდენობა იმერეთში (19.6%), კახეთსა (15.1%) და სამეგრელო-ზემო სვანეთში (13.3%) დაფიქსირდა. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია მეურნეობების განაწილება რეგიონების მიხედვით.

მეურნეობების რაოდენობა რეგიონების მიხედვით
(ათასი ერთეული)
(2014 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით)



მეურნეობების მთლიანი რაოდენობიდან 574.1 ათასს სარგებლობაში აქვს სასოფლო-სამეურნეო მიწა, ხოლო დანარჩენ 68.1 ათასს - არ აქვს.

მეურნეობების სარგებლობაში არსებული მიწის სტრუქტურა

2014 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, მეურნეობების სარგებლობაში არის 842.3 ათასი ჰა სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო მიწა. მათ შორის 87.2% (734.8 ათასი ჰა) საკუთრებაშია, ხოლო 12.8% (107.5 ათასი ჰა) - დროებით სარგებლობაში.

სასოფლო-სამეურნეო მიწა და მისი გამოყენება

მეურნეობების სარგებლობაში 787.7 ათასი ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწაა. მათ შორის 86.5% (681.1 ათასი ჰა) შინამეურნეობების, ხოლო 13.5% (106.6 ათასი ჰა) იურიდიული პირების სარგებლობაშია.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია მეურნეობების სარგებლობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის სტრუქტურა და საშუალო მაჩვენებლები მეურნეობის კატეგორიების მიხედვით.

მეურნეობების სარგებლობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის სტრუქტურა და საშუალო სიდიდე (2014 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით)

მაჩვენებელი	ზომის ერთეული	ყველა კატეგორიის მეურნეობა	შინამეურნეობები	იურიდიული პირები
მეურნეობების რაოდენობა სასოფლო-სამეურნეო მიწით	**ათასი ერთეული**	**574.1**	**571.9**	**2.2**
სასოფლო-სამეურნეო მიწა	**ათასი ჰა**	**787.7**	**681.1**	**106.6**
სახნავი	ათასი ჰა	377.4	322.7	54.8
მრავალწლოვანი ნარგავები	ათასი ჰა	109.6	92.6	17.0
სათიბები და საძოვრები	ათასი ჰა	300.0	265.2	34.8
სათბურები	ათასი ჰა	0.7	0.6	0.1
სასოფლო-სამეურნეო მიწის საშუალო ფართობი*	**ჰა**	**1.4**	**1.2**	**49.2**

*საშუალო ფართობი გაიანგარიშება სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობის შეფარდებით იმ მეურნეობების რაოდენობასთან, რომელთაც სარგებლობაში აქვთ სასოფლო-სამეურნეო მიწა.

მეურნეობების უდიდესი ნაწილი მცირემიწიანია. კერძოდ, მეურნეობების სამ მეოთხედზე მეტს (77.1%) სარგებლობაში აქვს 1 ჰა-ზე ნაკლები სასოფლო-სამეურნეო მიწა და მათზე სარგებლობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწების 21.5% მოდის.

მეურნეობების სარგებლობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის 40.1% - კახეთში, 15.5% - ქვემო ქართლში, ხოლო 9.7% სამცხე-ჯავახეთშია. სასოფლო-სამეურნეო მიწის პროცენტული განაწილება რეგიონების მიხედვით წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე.

მეურნეობების სარგებლობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის განაწილება რეგიონების მიხედვით
(2014 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით)



2014 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, სარგებლობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის საშუალო ფართობის მიხედვით ყველაზე მსხვილი მეურნეობები კახეთში (3.6 ჰა), სამცხე-ჯავახეთსა (2.2 ჰა) და ქვემო ქართლშია (1.8 ჰა). ქვემოთ მოცემული დიაგრამა გვიჩვენებს მეურნეობების სარგებლობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის საშუალო ფართობებს რეგიონების მიხედვით.

მეურნეობების სარგებლობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის საშუალო ფართობი რეგიონების მიხედვით (ჰა)
(2014 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით)



მეურნეობების სარგებლობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი რეგიონების მიხედვით (2014 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით)

რეგიონი	სასოფლო-სამეურნეო მიწა	მეურნეობების რაოდენობა სასოფლო-სამეურნეო მიწით	საშუალო ფართობი
	ათასი ჰა	ათასი ერთეული	ჰა
საქართველო	**787.7**	**574.1**	**1.4**
მათ შორის:			
ქ. თბილისი	2.8	13.6	0.2
აჭარის არ	19.7	43.9	0.4
გურია	26.9	33.5	0.8
იმერეთი	65.7	111.2	0.6
კახეთი	315.5	88.8	3.6
მცხეთა-მთიანეთი	20.8	29.9	0.7
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	5.8	13.5	0.4
სამეგრელო-ზემო სვანეთი	66.7	76.4	0.9
სამცხე-ჯავახეთი	76.1	34.5	2.2
ქვემო ქართლი	122.3	67.5	1.8
შიდა ქართლი	65.4	61.3	1.1

სახნავი

2014 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, მეურნეობების სარგებლობაში 377.4 ათასი ჰა სახნავია, მათ შორის 85.5% - შინამეურნეობების, ხოლო 14.5% - იურიდიული პირების სარგებლობაში. მეურნეობების სარგებლობაში არსებული სახნავი მიწის საშუალო ფართობი 0.7 ჰა-ს შეადგენს. მეურნეობების 86.9%-ს სარგებლობაში აქვს 1 ჰა-ზე ნაკლები სახნავი. სარგებლობაში არსებული სახნავი მიწის ფართობის 70.3% (265.4 ათასი ჰა) ნათესებით არის დაკავებული[1]. აღნიშნული მაჩვენებელი შინამეურნეობებისათვის 77.2%-ს (249.2 ათასი ჰა), ხოლო იურიდიული პირებისათვის 29.5%-ს (16.2 ათასი ჰა) შეადგენს. 1 ჰა და მეტი ნათესი აქვს 49.4 ათას მეურნეობას, 5 ჰა და მეტი - 3.5 ათასს, 10 ჰა და მეტი კი - 1.6 ათასს.

ერთწლიანი კულტურებით ნათესი მიწის 44.6% უჭირავს სიმინდს, 18.6% - ხორბალს, 9.2% - ბოსტნეულს, 9.2% - ქერს. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია ერთწლიანი კულტურებით დაკავებული მიწის სტრუქტურა ცალკეული კულტურების მიხედვით.

ერთწლიანი კულტურებით დაკავებული მიწის ფართობის სტრუქტურა ცალკეული კულტურების მიხედვით
(2014 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით)



[1] იგულისხმება სახნავი მიწის ფართობი, რომელზეც 2013 წლის შემოდგომაზე და 2014 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში დაითესა ერთწლიანი კულტურები (განმეორებითი ნათესების გამო, ეს ფართობი ნაკლებია ცალკეული კულტურების ნათესების ფართობების ჯამზე).

მრავალწლოვანი ნარგავები

2014 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, მეურნეობების სარგებლობაში არსებული მრავალწლოვანი ნარგავების ფართობი 109.6 ათას ჰა-ს შეადგენს. მეურნეობების სარგებლობაში არსებული მრავალწლოვანი ნარგავების საშუალო ფართობი 0.4 ჰექტარია. მეურნეობების 93.5%-ს სარგებლობაში აქვს 1 ჰა-ზე ნაკლები მრავალწლოვანი ნარგავები. 1 ჰა და მეტი მრავალწლოვანი ნარგავი აქვს 17.6 ათას მეურნეობას, ხოლო 3 ჰა და მეტი - 1.7 ათასს. მრავალწლოვანი ნარგავების 54.2% ხეხილის ბაღებს უკავია, 30.1% - ვენახებს, 6.7% - ციტრუსის პლანტაციებს, ხოლო 4.2% - ჩაის პლანტაციებს. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია მრავალწლოვანი ნარგავების სტრუქტურა.

მეურნეობების სარგებლობაში არსებული მრავალწლოვანი ნარგავების სტრუქტურა
(2014 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით)

მაჩვენებელი	ფართობი (ათასი ჰა)	მეურნეობების რაოდენობა (ათასი ერთეული)	საშუალო ფართობი (ჰა)
მრავალწლოვანი ნარგავები, სულ	**109.6**	**272.0**	**0.4**
მათ შორის:			
ხეხილის ბაღები	59.4	157.6	0.4
ვენახები	33.0	123.5	0.3
ციტრუსის პლანტაციები	7.4	37.4	0.2
ჩაის პლანტაციები	4.6	6.6	0.7
სხვა მრავალწლოვანი ნარგავები	5.1	31.0	0.2

ხეხილის ბაღები

მეურნეობების სარგებლობაში 59.4 ათასი ჰა ხეხილის ბაღებია. მეურნეობების სარგებლობაში არსებული ხეხილის ბაღების საშუალო ფართობი 0.4 ჰექტარია. მეურნეობების 94.0%-ს სარგებლობაში აქვს 1 ჰა-ზე ნაკლები ფართობის ხეხილის ბაღი. 9.4 ათას მეურნეობას სარგებლობაში აქვს 1 ჰა და მეტი ფართობის ხეხილის ბაღი, ხოლო 0.7 ათასს - 3 ჰა და მეტი. ხეხილის ბაღების უდიდესი ნაწილი სამეგრელო-ზემო სვანეთში ფიქსირდება - 22.8 ათასი ჰა, შიდა ქართლში - 12.7 ათასი ჰა, ხოლო კახეთში - 8.1 ათასი ჰა.

მეურნეობების სარგებლობაში არსებული ხეხილის ბაღების განაწილება რეგიონების მიხედვით
(2014 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით)



ვენახები

მეურნეობების სარგებლობაში არსებული ვენახების ფართობი 33.0 ათას ჰა-ს შეადგენს. ვენახების საშუალო ფართობი ერთ მეურნეობაზე 0.3 ჰექტარია. მეურნეობების 95.4%-ს სარგებლობაში აქვს 1 ჰა-ზე ნაკლები ფართობის ვენახი. 5.6 ათას მეურნეობას სარგებლობაში აქვს 1 ჰა და მეტი ფართობის ვენახი, ხოლო 0.7 ათასს - 3 ჰა და მეტი. ვენახების ფართობების უდიდესი ნაწილი კახეთში ფიქსირდება - 23.9 ათასი ჰა, იმერეთში - 5.0 ათასი ჰა, შიდა ქართლში - 1.0 ათასი ჰა, ხოლო რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში - 0.7 ათასი ჰა.

მეურნეობების სარგებლობაში არსებული ვენახების ფართობის განაწილება რეგიონების მიხედვით
(2014 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით)



პირუტყვი და ფრინველი

2014 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, მეურნეობების სარგებლობაში არსებული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობამ 1,005.0 ათასი სული შეადგინა, ცხვრისა და თხის - 989.3 ათასი, ღორის - 213.1 ათასი, ხოლო ფრინველის სულადობამ - 8,216.0 ათასი ფრთა. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია პირუტყვისა და ფრინველის სულადობა და საშუალო მაჩვენებლები.

პირუტყვისა და ფრინველის სულადობა და საშუალო მაჩვენებლები
(2014 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით)

მაჩვენებელი	ზომის ერთეული	ყველა კატეგორიის მეურნეობა	შინამეურნეობები	იურიდიული პირები
პირუტყვის რაოდენობა				
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი	ათასი სული	1,005.4	997.0	8.5
ცხვარი და თხა	ათასი სული	989.3	962.0	27.3
ღორი	ათასი სული	213.1	195.3	17.8
ფრინველი	ათასი ფრთა	8,216.0	5,441.3	2,774.7
მეურნეების რაოდენობა პირუტყვით/ფრინველით				
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი	ათასი ერთეული	271.9	271.7	0.1
ცხვარი და თხა	ათასი ერთეული	23.7	23.7	0.0
ღორი	ათასი ერთეული	93.9	93.9	0.0
ფრინველი	ათასი ერთეული	364.9	364.8	0.1
საშუალო სულადობა ერთ მეურნეობაზე[2]				
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი	სული	3.7	3.7	60.4
ცხვარი და თხა	სული	41.7	40.6	700.7
ღორი	სული	2.3	2.1	424.1
ფრინველი	ფრთა	22.5	14.9	32,264.0

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ყველაზე დიდი რაოდენობა სამეგრელო-ზემო სვანეთში (195.2 ათასი), იმერეთსა (168.8 ათასი) და ქვემო ქართლში (140.7 ათასი) ფიქსირდება. 10 და მეტი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი ჰყავს 14.1 ათას მეურნეობას, 50 და მეტი კი - 0.5 ათასს. ქვემოთ მოცემული დიაგრამა გვიჩვენებს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობის განაწილებას რეგიონების მიხედვით.

[2] საშუალო მაჩვენებელი გაანგარიშებულია სულადობის ფარდობით იმ მეურნეობების რაოდენობასთან, რომელთაც ჰყავთ შესაბამისი პირუტყვი/ფრინველი.

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის განაწილება რეგიონების მიხედვით
(2014 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით)



ცხვრისა და თხის ყველაზე მეტი რაოდენობა კახეთში (638.7 ათასი) ფიქსირდება. ამ მაჩვენებლით მეორე ადგილზეა ქვემო ქართლი (195.8 ათასი), ხოლო მესამეზე - სამცხე-ჯავახეთი (69.4 ათასი). 10 და მეტი ცხვარი და თხა ჰყავს 9.7 ათას მეურნეობას, 50 და მეტი კი - 3.1 ათასს. ცხვრისა და თხის სულადობის განაწილებას რეგიონების მიხედვით გვიჩვენებს ქვემოთ მოცემული დიაგრამა.

ცხვრისა და თხის განაწილება რეგიონების მიხედვით
(2014 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით)



ღორის სულადობის ყველაზე დიდი მაჩვენებელი სამეგრელო-ზემო სვანეთში (44.9 ათასი), კახეთსა (38.3 ათასი) და იმერეთში (37.3 ათასი) ფიქსირდება. 10 და მეტი რაოდენობის ღორი 2.2 ათას მეურნეობას ჰყავს. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია ღორის სულადობის განაწილება რეგიონების მიხედვით.

ღორის განაწილება რეგიონების მიხედვით
(2014 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით)



ფრინველის ყველაზე დიდი რაოდენობა ქვემო ქართლში (1,963.0 ათასი), კახეთსა (1,438.8 ათასი) და იმერეთში (1,319.4 ათასი) ფიქსირდება. 100 და მეტი ფრინველი 0.9 ათას მეურნეობას ჰყავს. ქვემოთ მოცემული დიაგრამა გვიჩვენებს ფრინველის რაოდენობის განაწილებას რეგიონების მიხედვით.

ფრინველის განაწილება რეგიონების მიხედვით
(2014 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით)



გამოყენებული პირობითი აღნიშვნა: 0.0 - მაჩვენებლის სიდიდე უმნიშვნელოა.

შენიშვნა: ცალკეულ შემთხვევებში მცირე განსხვავება საბოლოო შედეგსა და შესაკრებთა ჯამს შორის აიხსნება მონაცემთა დამრგვალებით.

საკონტაქტო პირი: ვასილ წაქაძე, ტელ.: (+995 32) 367210 (500), E-mail: vtsakadze@geostat.ge.

www.geostat.ge, info@geostat.ge